მაია ბლიაძე

გეოგრაფიული კალენდარი

კალენდარში არის დღეები, რომლებსაც კავშირი აქვს გეოგრაფიასთან. ზოგიერთი ასეთი დღე საერთაშორისო მნიშვნელობისაა და მას თითქმის მთელი მსოფლიო აღნიშნავს, ამრიგად, ისინი დღესასწაულებად იხსენიება. დღესასწაული რაიმე ღირშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებული საზეიმო დღეა. აღსანიშნავი მოვლენის ხასიათის, მნიშვნელობისა და გავრცელების არეალის თვალსაზრისით დღესასწაულები იყოფა სამოქალაქო (საერთო-სახალხო, ეროვნულ, პროფესიულ), საერთაშორისო და რელიგიურ დღესასწაულებად. სამოქალაქო დღესასწაულებს შესაბამისი კანონებით აწესებენ სახელმწიფოები, საერთაშორისოს - საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთი აქტებით, ხოლო რელიგიურს - რელიგიური ორგანიზაციები. ხშირად დღესასწაულებს სახელმწიფო უქმე დღეებად აცხადებს. დღესასწაულების უმეტესობა წლის კონკრეტულ დღეს აღინიშნება, მაგრამ არსებობს დღესასწაულები, მათ შორის - რელიგიურიც, რომლებიც მოძრავია და სხვადასხვა წელს სხვადასხვა დღეს ზეიმობენ.

დღესასწაული საერთაშორისოა, თუ იგი დადგენილია საერთაშორისო ორგანიზაციის (გაეროს, იუნესკოს და სხვ.) მიერ ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური, კულტურული, საზოგადოებრივი და სხვა მოვლენის აღსანიშნავად ან ასეთად მიიჩნევა მსოფლიოს ქვეყნების ერთ ჯგუფში. ასეთია, მაგალითად, ევროპის დღე, აფრიკის დღე. წესისამებრ, საერთაშორისო დღესასწაულებს საზეიმო ღონისძიებებით აღნიშნავენ, მაგრამ ისინი უქმე დღეები არ არის.

ვფიქრობთ, სასწავლო წლის დასაწყისში უპრიანი იქნება, გავეცნოთ გეოგრაფიასთან დაკავშირებულ ღირშესანიშნავ თარიღებს და გაკვეთილებისა თუ სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა მათ დავუკავშიროთ: მოსწავლეებთან ერთად ჩავატაროთ შესაბამისი თემატიკის გაკვეთილები, სემინარები, კონფერენციები, ექსპედიციები და ექსკურსიები, ლაშქრობები, საველე კვლევები თუ სხვა აქტივობები. ჩვენი გეოგრაფიული კალენდარი შედგენილია არა ასტრონომიული, არამედ სასწავლო წლის კალენდარული თვეების მიხედვით.



16 სექტემბერი ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღეა (ინგ. International Day for the Preservation of the Ozone Layer). იგი 1987 წლიდან აღინიშნება, მას შემდეგ, რაც მონრეალის ოქმი შეიქმნა. ოზონის შრე დედამიწას ადამიანებისთვის, ცხოველებისა და მცენარეებისთვის მავნე ულტრაიისფერი სხივებისგან იცავს. იმ დროს

მსოფლიო ყოველწლიურად ორ მილიონ ტონა ოზონდამშლელ ნივთიერებას მოიხმარდა. ამ ქიმიკატებს იყენებდნენ სოფლის მეურნეობაში, ფარმაკოლოგიაში, სამაცივრო და ავეჯის წარმოებაში. ბევრის აზრით, მათი გამოყენების აღმოფხვრა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

2007 წელს მონრეალის ოქმის წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ წყალბად-ქლორ-ფთორ-ნახშირბადებს, ოზონის შრისთვის ყველაზე სახიფათო ნივთიერებებს, წარმოებიდან და მოხმარებიდან ამოიღებდნენ. განვითარებულმა ქვეყნებმა მათი გამოყენება 80%-ით შეამცირეს. ეს იმედის მომცემი შედეგია, თუმცა ოზონის შრის დაცვა კვლავაც უნდა გაგრძელდეს, მეცნიერთა ვარაუდით, მას საფრთხე ისევ ემუქრება. 1996 წელს საქართველო ვენის კონვენციასა და მონრეალის ოქმს შეუერთდა. ამით ჩვენმა ქვეყანამ იკისრა ოზონდამშლელი ნივთიერებების მოხმარებიდან ამოღების ვალდებულება.

21 სექტემბერი მშვიდობის საერთაშორისო დღეა (ინგ. International Day of Peace). ამ დღის მთავარი გზავნილია „მშვიდობა, ახალგაზრდობა და განვითარება“, დევიზი კი - „მშვიდობა უდრის მომავალს!“
მშვიდობის საერთაშორისო დღე გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1981 წელს დააწესა. „პატივი მივაგოთ და გავაძლიეროთ მშვიდობის იდეა მსოფლიოში“ - ასეთი იყო დღესასწაულის დაარსების მიზანი. ოცი წლის შემდეგ კი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია და 21 სექტემბერი „გლობალური ცეცხლის შეწყვეტისა და არაძალადობისთვის“ ყოველწლიურ დღესასწაულად გამოაცხადა.

22 სექტემბერი - დღე ავტომობილის გარეშე (ინგ. World Car Free Day). ეკოლოგიური აქციაა, რომელმაც სტარტი 1995 წელს საფრანგეთში აიღო. ამ დღეს, წესისამებრ, იმართება აქცია დევიზით „ქალაქი - სივრცე ადამიანებისა და სიცოცხლისთვის“. აქციის მიზანია, ადამიანები ავტომობილების ნეგატიურ გავლენასა და ალტერნატიული საწვავის გამოყენებაზე დააფიქროს. ამჟამად ამ დღეს მთელ მსოფლიოში აღინიშნავენ.

27 სექტემბერი მსოფლიო ტურიზმის დღეა (ინგ. World Tourism Day) და ყოველწლიურად აღინიშნება ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში, მათ შორის - საქართველოშიც. დღესასწაულის მიზანია ტურიზმის პროპაგანდა, ეკონომიკის სფეროში მისი როლის გაძლიერება და მსოფლიოს ხალხთა შორის მეგობრული და კულტურული ურთიერთობების დამყარება.

სექტემბრის ბოლო კვირის ერთ-ერთი დღე ზღვების მსოფლიო დღეა (ინგ. World Maritime Day). ის 1978 წლიდან აღინიშნება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ასამბლეის ინიციატივით და გაეროს მიერ დაწესებული საერთაშორისო დღეების სისტემაში შედის. ზღვების მსოფლიო დღე ეძღვნება ზღვების ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემებს, ბიორესურსების შენაჩუნებას. 1980 წლამდე მას 17 მარტს აღნიშნავდნენ, ამჟამად კი სექტემბრის ბოლო კვირის ერთ-ერთ დღეს აღინიშნება და თითოეული ქვეყანა თავად ადგენს ამ თარიღს.

ოქტომბრის პირველი ორშაბათი ჰაბიტატის მსოფლიო დღეა (ინგ. World Habitat Day) და დასახლებულ პუნქტებში ცხოვრების პირობებს ეძღვნება. მისი აღნიშვნა 1986 წელს გადაწყდა გაეროს მე-40 გენერალურ ასამბლეაზე მიღებული რეზოლუციით. ამ დღეს მსოფლიოს რომელიმე ქალაქში გაერო ოფიციალურ ღონისძიებებს მართავს.

გაეროს ადამიანთა დასახლებების ცენტრი (ჰაბიტატი) 1978 წელს შეიქმნა. 1998 წელს ცენტრმა ქალაქის მენეჯმენტის, დასახლების, მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის

განვითარების საკითხებზე დაახლოებით 80 ქვეყანაში 200-ზე მეტი პროგრამა და პროექტი განახორციელა. ჰაბიტატი გაეროს სისტემაში დასახლებათა განვითარების კოორდინატორია, რომელიც ფოკუსირებას ახდენს შემდეგ სფეროებზე: თავშესაფარი და მომსახურება; ქალაქის მენეჯმენტი; გარემო და ინფრასტრუქტურა; შეფასება, მონიტორინგი და ინფორმაცია.



4 ოქტომბერი ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღეა (ინგ. World Animal Day) და მას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც აღინიშნავენ. ამ დღის აღნიშვნა 1931 წელს იტალიაში, ქ. ფლორენციაში, გარემოს დამცველთა მოძრაობის მომხრეთა საერთაშორისო კონგრესზე გადაწყდა.

მრავალ ქვეყანაში 4 ოქტომბერს ცხოველთა დაცვის მოთხოვნით აქციები იმართება. ცხოველთა დაცვის დღე უკავშირდება წმინდან ფრანცისკ ასიზელს, რომელიც ცხოველებსა და ფრინველებზე ზრუნავდა. იგი ითვლება დედამიწაზე ცხოველებისა და ფრინველების მფარველად. ლეგენდის თანახმად, ფრანცისკს ველურ სამყაროსთან კონტაქტის წარმოუდგენელი ნიჭი ჰქონდა. ასიზელი მორწმუნეებს შთააგონებდა, რომ ბუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ადამიანმა მას ზიანი არ უნდა მიაყენოს. სწორედ მას მიაწერენ მეცნიერების ისეთი მიმართულების წარმოშობას, როგორიცაა ეკოლოგიური ეთიკა, რომელიც შეისწავლის ველური სამყაროს შიდა სიმდიდრეებს და ადამიანს ყველა ცოცხალი არსების მიმართ ჰუმანურ დამოკიდებულებას ასწავლის.

ფრანცისკ ასიზელის გარდაცვალების დღე, 1226 წლის 4 ოქტომბერი, ოდითგანვე ეძღვნებოდა ცხოველთა დაცვისადმი მიმართულ ღონისძიებებს, ხოლო 1931 წლიდან ცხოველთა დაცვის დღედ ოფიციალურად დაწესდა.

6 ოქტომბერი საარსებო გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეა (ინგ. World Environment Day - UNEP). იგი 1979 წელს დაწესდა „ველური ფაუნისა და ფლორის და საარსებო ბუნებრივი გარემოს დაცვის შესახებ“ ბერნის კონვენციის საფუძველზე. ამჟამად კონვენციაზე 39 ქვეყანას აქვს ხელი მოწერილი.

13 ოქტომბერი მსოფლიო კატასტროფების რისკის შემცირების საერთაშორისო დღეა (ინგ. International Day for Disaster Risk Reductio). ის ყოველწლიურად აღინიშნება და მისი მიზანია, საზოგადოება უკეთ იყოს ინფორმირებული იმის თაობაზე, როგორ შეიძლება ისეთი კატასტროფების რისკის შემცირება, როგორიცაა მიწისძვრა, წყალდიდობა, გვალვა, ხანძარი, ქარიშხალი და სხვა.

24 ოქტომბერი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღეა (ინგ. United Nations Day). გაერო, საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია, დაარსდა 1945 წლის 26 ივნისს, როდესაც სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 50-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა მის წესდებას. წესდება ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს. მას შემდეგ ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოში როგორც გაერთიანებული ერების დღე.

31 ოქტომბერი, შავი ზღვის საერთაშორისო დღე (ინგ. International Day of Black Sea), 1996 წლიდან აღინიშნება. სწორედ ამ დღეს მოაწერეს ხელი შავი ზღვის აუზის ქვეყნებმა: რუმინეთმა, უკრაინამ, ბულგარეთმა, რუსეთმა, უკრაინამ და თურქეთმა, - შავი ზღვის დაცვისა და რეაბილიტაციის სტრატეგიულ მოქმედებათა გეგმას და შავი ზღვის ეკოსისტემების რეაბილიტაციის, დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ვალდებულება იკისრეს. ამ დღეს შავი ზღვის აუზის ქვეყნებში სხვადასხვა ღონისძიებით აღნიშნავენ – იმართება შეხვედრები, დისკუსიები, სემინარები,

კონფერენციები, ფილმების ჩვენება, ვიქტორინები, საინფორმაციო ტიპის აქციები და სხვა. საქართველოში შავი ზღვის საერთაშორისო დღე 1997 წლიდან აღინიშნება.

20 ნოემბერი გეოინფორმაციული სისტემების (ინგ. Geographic Information Systems Day - GIS Day) დღეა. იგი რამდენიმე დიდი ამერიკული კომპანიისა და ორგანიზაციის (მათ შორის - აშშ-ის გეოგრაფიული საზოგადოების, USGS-ის, Sun Microsystems-ის, Hewlett–Packard-ის, ESRI-ს) ინიციატივით დაარსდა. ამ დღეს იმართება გამოფენები, სემინარები, ღია კარის დღეები და თითოეულ სტუმარს ეძლევა შესაძლებლობა, გაეცნოს გეოინფორმატიკის სფეროში არსებულ მიღწევებს. ეს დღე უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იძენს და უკვე გასცდა აშშ-ს საზღვრებს. ამჟამად ამ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში 65 ქვეყნის 700-ზე მეტი ორგანიზაცია მონაწილეობს.

11 დეკემბერი მთის საერთაშორისო დღეა (ინგ. International Mountain Day). მის აღნიშვნას საფუძველი 1992 წელს ჩაეყარა. მთების მნიშვნელობისადმი ინტერესის ზრდამ განაპირობა გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება, 2002 წელი მთის საერთაშორისო წლად გამოცხადებულიყო. ამავე წელს შემუშავდა გაეროს რეზოლუცია, რომლითაც გენერალურმა ასამბლეამ 11 დეკემბერი მთის საერთაშორისო დღედ აღიარა და საერთაშორისო საზოგადოებას მისი აღნიშვნისაკენ მოუწოდა. მთის საერთაშორისო დღის მიზანია სხვადასხვა ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართვა მთის მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში, რათა ხაზი გაესვას მთების სასიცოცხლო მნიშვნელობას, მათი არსებობის ხელმშემწყობ და ხელის შემშლელ ფაქტორებს, გაძლიერდეს თანამშრომლობა მსოფლიო მასშტაბით, მთიანი რეგიონების განვითარების მიზნით.

ამ მიზნით ტარდება თემატური სიმპოზიუმები, ლექციები, სემინარები, ხორციელდება თემატური საქმიანობები სკოლებში. მთის მოყვარულთა საზოგადოება ამ დღეს შემეცნებით-გასართობ ლექციებს ატარებს.

11 იანვარი ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დღეა (ინგ. National Park Day). მას 1997 წლიდან აღნიშნავენ ველური ბუნების დაცვის ცენტრისა და ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ინიციატივით.

2 თებერვალი ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის საერთაშორისო დღეა (ინგ. World Wetlands Day) და პირველად 1997 წელს აღინიშნა. მისი აღნიშვნა მას შემდეგ გადაწყდა, რაც 1971 წელს ირანის ქალაქ რამსარში მიიღეს კონვენცია „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ“. ამ დღეს მთელი მსოფლიო ერთი დევიზით ერთიანდება: „ტყეები წყლისა და ჭარბტენიანი ტერიტორიებისთვის“.

რამსარის კონვენცია ერთადერთი საერთაშორისო შეთანხმებაა, რომელიც აწესრიგებს კონკრეტულ ეკოსისტემას, განსაზღვრავს ეროვნულ სტრატეგიას და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს ჭარბტენიანი ტერიტორიების რესურსების კონსერვაციისა და გონივრული გამოყენების უზრუნველსაყოფად. კონვენცია უზრუნველყოფს წყალჭარბი ტერიტორიების შენარჩუნებას და წყლის ფრინველების არსებობისთვის აუცილებელი საბინადრო ადგილების დაცვას მთელ დედამიწაზე. 1997 წლიდან სახელმწიფო სამსახურები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად ყოველწლიურად მართავენ ღონისძიებებს, რომლებიც ეხება ჭარბტენიანი ტერიტორიებისა და, საზოგადოდ, რამსარის კონვენციის მნიშვნელობას.

რამსარის კონვენციის წევრი უკვე 160 ქვეყანაა, ხოლო კონვენციის საერთაშორისო ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში შეტანილია 1912 ტერიტორია, რომელთა საერთო ფართობი 187 მილიონ ჰექტრამდეა. საქართველო რამსარის კონვენციას 1996 წელს შეუერთდა. 1997 წლიდან ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს და კოლხეთის ეროვნულ პარკს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების სტატუსი მიენიჭა.

19 თებერვალი ვეშაპების დაცვის საერთაშორისო დღეა (ინგ. Whale Protection Day). ეს დღე არა მხოლოდ ვეშაპების, არამედ ზღვის ყველა ძუძუმწოვრისა და სხვა ბინადარების დაცვას ეძღვნება და 1986 წელს საერთაშორისო ვეშაპთა კომისიის მიერ (International Whaling Commission, IWC) დაარსდა. კომისია დღემდე ებრძვის მთელ მსოფლიოში ვეშაპებზე ნადირობასა და მათი ხორცით ვაჭრობას. ვეშაპთა საერთაშორისო დღის აღნიშვნით კომისიას სურს, მთავრობები და მოსახლეობა კიდევ ერთხელ დააფიქროს ამ ცხოველების დაცვაზე, რადგან სადღეისოდ ზღვის ძუძუმწოვართა მხოლოდ 119 სახეობაა შემორჩენილი. ვეშაპებსა და ზღვის ძუძუმწოვრებზე უკანონო ნადირობა დაახლოებით 200 წელია გრძელდება, რამაც მათი რიცხვის შემცირება და ვეშაპთა რამდენიმე სახეობის გადაშენება გამოიწვია.

ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია მოსახლეობას მოუწოდებს, გააანალიზონ თავიანთი ქმედებები და იფიქრონ პლანეტის მომავალზე. უამრავ ქვეყანაში არსებობს ზღვის ძუძუმწოვართა დამცველი კლუბები. ისინი ქმნიან სპეციალურ წყალსაცავებს, სადაც გადაშენების პირას მყოფ ზღვის ძუძუმწოვრებს უსაფრთხო გარემოში უშვებენ.

ამ დღეს ვეშაპების დამცველები, ეკოლოგიური ჯგუფები მთელ მსოფლიოში მართავენ აქციებს ვეშაპთა და ზღვის ძუძუმწოვართა გადასარჩენად, მოსახლეობას აცნობენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რა მდგომარეობაშია წყალქვეშა სამყარო.

21 თებერვალი მშობლიური ენის მსოფლიო დღეა (ინგ. International Mother Language Day). ეს თარიღი იუნესკოს გენერალურმა კონფერენციამ 1999 წლის 17 ნოემბერს დააწესა და 2000 წლის თებერვლიდან აღინიშნება. ამ დღესასაწაულის დაარსება 1952 წლის 21 თებერვალს ბანგლადეშში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება, როდესაც ბენგალიურის სახელმწიფო ენად გამოცხადების მოთხოვნით გამართული აქციის დროს ოთხი სტუდენტი დაიღუპა. ტარდება სხვადასხვაგვარი ღონისძიებები. იუნესკოს შეფასებით, მსოფლიოს დაახლოებით 6 ათასი ენიდან ნახევარს უახლოეს ხანებში გაქრობა ემუქრება. საქართველოში დედაენის დღედ **14 აპრილია** გამოცხადებული.